საქართ. შეერთებულ სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციური პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 300,000 მ.; უკანასკნელზე 00200,0 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34

ფასი 5000 მან.

№ 194

ოთხშაბათი, აპრილის 19

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილ ვაჟთა მე-2 გიმნაზიის მასწავლებლები აუწყებენ საზოგადოებას მასწავლებელ

პავლე გაბრიელის ძე

საყვარელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება აპრილის 19-ს, ოთხშაბათს, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. დილის 10 საათზე მისამართი: ყაზბეგის შესახვევი № 4.

ცენტრალურ აღმასკომში

სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომების სესია უკვე გაიხსნა. კომიტეტმა მრავალ საყურადღებო საკითხების შესახებ იქონია მსჯელობა და გამოიტანა თავისი დასკვნები.

ერთი მთავარი საკითხი, რომელის შესახებ აღმასკომს უნდა ეთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა, ეს იყო ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაცია. როგორც ვიცით, ეს ხელშეკრულება დადებულ იქმნა ქ. ყარსში, 1921 წ. ოქტომბრის 13-ს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა და ოსმალეთის დიდი ეროვნული კრებობის წარმომადგენელთა შორის. ხელშეკრულებას საფუძვლად დაედვა ის პირობები, რომელიც მიღებული იყო მოსკოვში 1921 წ. მარტის 16. ამ პირობებით მოსკოვის მთავრობამ დაუდასტურა და გადასცა ოსმალეთს არტვინ-არდაგანის ოლქები, ბათომის ოლქის საგრძნობი ნაწილი და ახალციხის ფოცხოვის რაიონი. აღმასკომმა აპრილის 14-ის სხდომაზე იქონია მსჯელობა ამ ხელშეკრულების შესახებ.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია წინააღმდეგი წავიდა ხელშეკრულების რატიფიკაციისა და იგი საქართველოს ინტერესებისათვის მიუღებლად სცნო. ხელშეკრულებით დიდი ნაწილი ჩვენი ტერიტორიისა გადადის ოსმალეთის სრულს საკუთრებაში და თვით ბათომის საკითხი ერთობ საშიშარ მდგომარეობაში რჩება. ოსმალეთმა დიდი სიმდიდრე ჩაიგდო ხელში და მიისაკუთრა ამ პირობებით, თვით კი არავითარი დათმობა არ გაუწევია. ამ შემთხვევაში საქართველო სთმობს და ხელს იღებს თავის ინტერესებზე; ოსმალეთის ეროვნული კრებობა კი სხვისი დოვლათისა და საკუთრების დატაცებაში არის. ხელშეკრულებაში არ არის დაცული ურთიერთშეფარდებისა და ინტერესთა შეთანხმების პრინციპი; ყოველივე ხდება საქართველოსა და სომხეთის ხალხის ხარჯებზე.

რითი შეიძლება გამართლებული იქნეს ასეთი ხელშეკრულება, რომელიც უდიდეს ზიანს აყენებს საქართველოს მშრომელ ხალხს ეკონომიურად, სტრატეგიულად, პოლიტიკურ-ეროვნულად. ამის გასამართლებელი არ არის არც ერთი დებულება, რომელზედაც შეიძლებოდეს დაეყრდნოთ და გამოსავალ წერტილად აიღოთ.

ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ თავისი პოლიტიკური სიბეცის გამო უდიდესი დანაშაული ჩაიდინა ქართველი ხალხის წინაშე, როდესაც ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებს გადასცა ზემოდ აღნიშნული მხარეები, იმ პირობით, რომ ოსმალეთი მათთან ერთად ჩაებმოდა კომუნისტებთან ბრძოლაში, რასაკვირველია, ასეთმა პოლიტიკამ მხოლოდ სრული სიბეცე გამოააშკარავა მენშევიკური მთავრობის და ახალი ხელისუფლება მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენა. იმ ჟამად ხავსზე შემოკიდებულმა მენშევიკებმა ერთი მახვილი კიდევ ჩასცეს ქართველი ხალხის ინტერესებს და თავიანთი პოლიტიკური ძალა-უფლების შენარჩუნებისათვის დიდი ნაწილი საქართველოს ტერიტორიის ფეშქაშად მიართვეს ოსმალეთის იმპერიალისტებს.

ეს ფაქტია, რომელსაც ვერავინ ამოშლის ჩვენი ისტორიის ფურცლებიდან: მაგრამ ეს ფაქტიური მდგომარეობა შეუძლებელია საფუძვლად დასდებოდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას სამაჰმადიანო საქართველოს საკითხში. რასაკვირველია ჩვენ არ მოვითხოვდით და არც მოვითხოვთ იარაღის ახმაურებას დღევანდელ პირობებში, მაგრამ ჩვენ გვქონდა ერთი გამოსავალი: ფორმალური დასტური არ მიგვეცა ოსმალეთისათვის და არ დაგვედასტურებინა ხელშეკრულებით ის, რაც მის საკუთრებას არ შეადგენს. თუ დიდ ტანიან რუსეთს უფლება აქვს მისთვის მცირე მნიშვნელოვან პატარა ბესარაბიის შესახებ დიდი პოლიტიკური „სკანდალები“ გაუმართოს რუმინიას, ჟენევის კონფერენციაზედაც კი მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერიტორია თითქმის სამი-ოთხი წლიწადია ხელში უპყრია მას და არ მისცეს რუმინიის მთავრობას ფორმალური სანქცია ბესარაბიის დასაკუთრებისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთივე უფლებას ვერავინ წაართმევს პატარა საქართველოსაც. სამაჰმადიანო საქართველო განუყოფელი ნაწილი არის საქართველოსათვის და ათასი ყარსის ხელშეკრულებაც რომ შეიკრას მას ვერ დასთმობს ქართველი ხალხი და თავისი ნებით არ აიღებს ხელს თავის სასიცოცხლო ინტერესებზე. ეს ტერიტორია შედარებით ბესარაბიასთან უფრო დიდი და მნიშვნელოვანი არის ჩვენთვის, ჩვენისთანა პატარა ერისათვის...

ამგვარად ფაქტიური მდგომარეობით ახსნა და გამართლება ყარსის ხელშეკრულებისა ყოვლად შეუძლებელია და მასზე ვერავინ ვერ დაეყრდნობა.

ამბობენ, რომ ამ ხელშეკრულების დადებას „მოითხოვდა რევოლიუციის უმაღლესი კანონი“. საკითხის ასეთს ნიადაგზე გადმოტანის წინააღმდეგნი არც ჩვენ ვართ, მაგრამ ვინც გაითვალისწინებს იმ საერთაშორისო მდგომარეობასა და პირობებს, რომელიც იქმნება ჩვენს ირგვლივ და რომელიც განსაკუთრებული სიძლიერით აჩქარებენ საერთაშორისო ძალთა დაჯახებას ამიერ-კავკასიის საზღვრებში, იგი დაგვეთანხმება, რომ „რევოლიუციის უმაღლესი კანონი“ მოითხოვდა სრულიად საწინააღმდეგო ხელშეკრულებას.

გარდა ამისა, საზღვრების საკითხს მრავალი ჩვენი მმართველი პარტიის წევრები ერთობ აღშფოთებულად უყურებენ. ჩვენ ამ ჟამად არ შევალთ აქ კითხვის ფართოდ განხილვაში, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თუ ჩვენთვის არ არის საჭირო საზღვრები, ასეთივე საზომით უნდა უდგებოდეს საკითხს ჩვენი მეზობელი რესპუბლიკებიც, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არის განმტკიცებული. თორემ ის რას ემსგავსება, ჩვენ რომ ვიძახოთ რევოლიუციის ინტერესი მოითხოვს საქართველოს საზღვრების წაშლასო და ამავე დროს აზერბეიჯანის საბჭოთა მთავრობამ თავისი საზღვრები მე-17-ე არხ. მდე გადმოსწიოს, ქვემო ყარაიაზისა და ლარის ხევ-ტყეს, პეიისა და სამოვარის დაუშრეტელი მდელი დაისაკუთროს, სომხეთმა კი—სამხრეთი ნაწილი ბორჩალოს მაზრისა სადახლომდე? რასაკვირველია, ასეთი პოლიტიკის გზას ჩვენ ვერ დავადგებით და ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღვიაროთ, რომ საქართველოსათვის საზღვრები ისეთივე საჭირო არის, როგორც მისი მეზობელ რესპუბლიკებისათვის და ყოველგვარი ექსპერიმენტი ამ ხაზით მიმართული დიდ ტკივილებს იწვევს ქართველ ხალხში. ასეთივე ტკივილები და უკმაყოფილებანი გამოიწვია ჩვენი ტერიტორიის ოსმალეთის მხრით შემცირებამ.

ჩვენ არ შეგვიძლია აქ არ აღვნიშნოთ ის შემცდარი და ყოვლად დაუშვებელი დებულება, რომელიც წამოაყენა თავის საპასუხო სიტყვაში ამხ. მოხსენებელმა თითქოს, აჭარა რაღაც განსაკუთრებულ ნაციას, ეროვნებას წარმოადგენდეს, ამ დებულების დამტკიცება რომ შეუძლებელია, ეს ვგონებ ყველასათვის ნათელი არის და მხოლოდ მისი დღევანდელს პირობებში წამოყენება პოლიტიკურად გაუმართლებელი და დიდი შეცდომა არის.

ქართველი ხალხი სამაჰმადიანო საქართველოს აგრესიულ საზომითა და იმპერიალისტური ინტერესებით კი არ უდგება, არამედ საერთო ეროვნული საზომით და სცნობს მას როგორც თავის განუყრელ ნაწილს. აჭარა და მთელი სამაჰმადიანო საქართველო ქართველი ხალხის ეროვნული ორგანიზმის განუყოფელი ნაწილია და არავის არ აქვს უფლება ჩვენს იმპერიალიზმზე ილაპარაკოს ამ შემთხვევაში.

ჩვენი უმთავრესი მიზანი არის ისტორიულ უსამართლობის მიერ გახლეჩილ ეროვნულ სხეულის გამთლიანება და მისი სოციალური აყვავება. აქ იმპერიალიზმთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ საღსა და კეთილშობილ ეროვნულ პოლიტიკასთან, რომელიც დაჩაგრულ ერის ძირითად მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს.

ვისაც ასე არ ესმის ბათომისა და მთელი სამუსლიმანო საქართველოს საკითხი, იგი დიდს პოლიტიკურს შეცდომას სჩადის.

ყარსის ხელშეკრულების დადებით ჩვენ უფრო გაგვიმწვავდა სამაჰმადიანო საქართველოს საკითხი. იგი შეუძლებელია ამ პირობებში დარჩეს. მომავალმა ისტორიამ არსებითად უნდა გადასინჯოს იგი და დაუბრუნოს ქართველ ხალხს თავისი განუყრელი ნაწილი.

ს. დევდარიანი.

საბედისწერო გზაჯვარედინზე

დიდ ისტორიულ ტეხილში გვიხდება ცხოვრება. დიდი ისტორიულ მოვლენების მოწმენი ვართ. ჩვენს ირგვლივ და ჩვენს გარეშე ათასგვარი პოლიტიკური კომბინაციები ხდება. საერთაშორისო პოლიტიკაში რადიკალური ცვლილებანია მოსალოდნელი.

ასეთ მომენტში სწორი გზის გამონახვა ძნელია. ძნელია გარკვეულ თვალსაზრისის დაჭერა, თუ კი თანმიმდევრობით არ არის გათვალისწინებული მთელი წყება იმ მოვლენათა, რომელიც ამ თავითვე ისახება მომავლის პერსპექტივებში.

ამიტომაც არის, რომ ბევრმა ალღო ვერ აართვა მომენტის მოთხოვნილებას და ვერ შეამოწმა მისი მაჯის ცემა.

გუშინდელი რევოლიუციონერები დღეს სულ სხვა ჰანგზე მღერიან, სხვა ბანაკშია მოქცეულნი.

ჩვენში ყოველივე საერთო ხასიათის გაურკვევლობას თან ახლავს ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილი დაუჯერებლობანი. დამონებული ერის პოტენციამ პირველად 1917 წელში ჰპოვა ასპარეზი თავისი დაგროვილ ენერგიის გაქანებისა და ის, მთელი თავისი არსებით, დაეწაფა ეროვნული ცხოვრების ნექტარს. რუსეთის შემოსვლამ საქართველოში თითქოს კვლავ მოახსენა ეროვნულ ტკივილთა გახსენება და „ძველი ბატონის“ ემბლემა დაესახა ბევრს თვალწინ.

მართალია, 100 წელი საკმაო იყო, რომ დამონებულ ერში დამმონებლის წინააღმდეგ ბრძოლა ეყო მაქსიმუმში შესაძლებელ უკმაყოფილებათა და ძვალსა და რბილში გამჯდარიყო სიძულვილი ყოველივე რუსულის წინააღმდეგ, როგორც დამმონებლის წინააღმდეგ. თქმა არ უნდა ეს მეტად საზიფათოა არა მარტო იმ ერისათვის, ვის წინააღმდეგაც არის მიმართული ასეთი განწყობილება, არამედ კიდევ უფრო იმ ერისათვისაც, რომელიც მატარებელია ასეთი მისწრაფებისა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება და მისი მოპყრობა რამე მკაცრი ზომებით კიდევ მეტს უკიდურესობაში აიყვანს ასეთ ტენდენციას.

არავისთვის უცხო და გასაკვირი არ არის ის გარემოება, რომ დღეს ბევრი მშრომელი, საღი ელემენტი მშრომელთა ბატონობის გამტკიცებისათვის განზედ გადამდგარი და ეროვნული მომენტის ზეგავლენით ვერ ჩაბმულა სახელმწიფოებრივ მშენებლობის პროცესში.

ამ გარემოებას ვერ ავხსნით ზერელე ფრაზეოლოგიით. მისი მიზეზები ღრმად არის ჩამარხული მთელი საუკუნის ყოფაცხოვრებაში, ამიტომ მისი მკურნალი მეტად გამოცდილი და ნაცადი დასტაქარი უნდა იყოს, რომ შესძლოს დამონებული ერის გამოყვანა სწორ გზაზე და აშკარად და ნათლად დაანახოს მის წინაშე, რომ მოვიდა არა ძალა ძველი პოლიტიკის გასაგრძობლად, არამედ ძალა სულ სხვა ხასიათის, რომლის მოწოდებაა ერთხელ და სამუდამოდ ძირი გამოუთხაროს იმპერიალისტურ პოლიტიკას და მის შედეგს—ერთა ჩაგვრა-მონობას.

დღეს კი ჩვენს დიდ ქალაქში ყოველივე რიგზე ვერ არის. მრავალი დაწესებულება ისევ ემბლემად ძველი ლურჯი მაუდიანი მოხელეების მოვლინებისა, რომელზედაც საპატიო ენად მხოლოდ რუსული ენა ითვლება. მრავალი დაწესებულებაა, სადაც არ ისმის სახელმწიფო ენა და ქართველ მოქალაქეს საკუთარ სახელმწიფოში სჭირდება თარჯიმნები ან და უცხო ენით იძულებითი სარგებლობა. ჩვენ გარკვევით ვამბობთ რომ ეს ანორმალური მდგომარეობაა. ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა თავის უფლებათა დაცვისათვის და დღესაც მას, ამ ბრწყინვალე ლოზუნგთა ხანაში, აღარ უნდა უხდებოდეს კიდევ საკითხად დასვას იმ ენის უფლება და პატივისცემა, რომელზედაც შექმნილა მთელი ეროვნული კულტურა და რომლის გარეშე ქართველი მშრომელისათვის წარმოუდგენელია რაიმე საკაცობრიო იდეალებისათვის ბრძოლა. ქართველ ხალხს აქვს სრული ნება პასუხი მოსთხოვოს ყველას, ვინც ნებით თუ უნებლიეთ არ დაიცავს მისი უდიდესი მოთხოვნილების ერთ დიდ საკითხს, რომელიც ქართული ენის უფლებას წარმოადგენს საქართველოში. ჩვენ დამამცირებლად მიგვაჩნია, რომ ეხლაც კი მელანი იხარჯებოდეს იმის საწერად, რომ საბჭოთა საქართველოში ქართული ენის პატივისცემა და მისი დაცვა. ამ გარემოებას დაუყოვნებლივ ბოლო უნდა მოეღოს. მტერმა და მოყვარემ უნდა დაინახოს, რომ საქართველოს არ ესაჭიროება არავისი პატრონობა და „აპეკუნობა“, რომ იგი არსებობდა და კვლავ იარსებებს და მისი არსებობის დასაყრდენს უნდა შეადგენდეს ქართველი მშრომელი ხალხი—მუშა და გლეხი:

მაგრამ მარტო ენის საკითხით არ ამოიწურება ის დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

აგრეთვე საზღვრების საკითხი. ამ საკითხში დიდი დაუდევრობა ჩანს. საქართველოს განაპირა კუთხეთა მიწა-წყალი მეტის მეტად გულუხვად ეთმობა ჩვენს მეზობლებს და ამ რიგად მთლიანი სხეული, რომელიც მტკიცე და ყრდენი უნდა იქნეს სახელმწიფოსი, ქუცმაცდება და ზიანდება როგორც ტერიტორიალურად, ისე ეკონომიურად და სტრატეგიულად.

არავის არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ბრძოლების პერიოდი არა თუ არ დასრულდება, არამედ ჯერ იგი კვლავ არ გასცილებია თავისი განვითარების პირველ ეტაპს. ამიტომ შესაძლებელია დღევანდელი მეგობარი ხვალ მტრად მოგვევლინოს და ასეთ პირობებში შეუძლებელია სტრატეგიული მოსაზრებანი არ მივიღოთ მხედველობაში, როდესაც ტერიტორიის საკითხს ვწყვეტთ.

ჩვენმა პრესამ არა ერთხელ აღნიშნა ყარსის ხელშეკრულობის უარყოფითი მხარეები, რომელიც აუცილებლად შესწორებული უნდა იქნეს.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ დღესაც კი მეტად ფართოდ სარგებლობს ზოგიერთი პიროვნება პარტიის იარლიყით. ამას წინად ლენინი თავის სიტყვაში სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ყველაზე უდიდესი მტერი არის ჩვენთვის „კომუნისტი, რომელიც ზის საპასუხისმგებლო სკამზე და სარგებლობს კეთილსინდისიერი ადამიანის ნდობითა“. ლენინის სიტყვის ეს ნაწილი თუ რუსეთისათვის არის გამოსადეგი, მით უფრო საქართველოს პირობებზედ მეტად შეთანხმებულია.

სომხისა და რუსის ზოგიერთ კომუნისტის მოღვაწეობას იმავე ლენინის ტერმინით, რომ აღვნიშნოთ, „რუსოტიაპული“ სული უდევს, რაც ხელს უწყობს ხალხში პროტესტის ენერგიის გაღვივებას და არწმუნებს მას, რომ საფუძველი ექნება რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

ამ გარემოებასაც ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს, ვისაც სურს საქართველოში მმართველობა და არა ბატონობა, იგი მოვალეა ყურადღება მიაქციოს ქართველი მუშისა და გლეხის გულისტკივილს და მხოლოდ და უმთავრესად ამ ნიადაგზე უნდა ააგოს თავისი პოლიტიკური საქმიანობა.

ყველასათვის თვალსაჩინოდ უნდა გახდეს, რომ რუსეთი ამიერიდან აღარ არის ჩვენი ბატონი და არც შეიძლება იყოს. ყველამ უნდა დაინახოს, რომ საბჭოთა საქართველო არავისი სავასალო სახელმწიფო არ არის, იგი არავის სამფლობელოს არ წარმოადგენს და თუ ვინმე თავხედობა მოინდომებს ქართველი მშრომელი ხალხის უფლებათა შელახვას, მაშინ იგი დაინახავს, თუ რას ნიშნავს კულტურული ერის შეურაცყოფილი ეროვნული თავმოყვარეობა.

როდესაც მოვაგვარებთ საბოლოოდ ენის, ტერიტორიის და ეროვნულ უფლებათა საკითხს, მაშინ ის საბედისწერო გზაჯვარედინიც, რომლის წინაშე დღეს სდგას მშრომელი ელემენტები უკმაყოფილოდ განწყობილნი, შეიცვლება საბოლოოდ ერთ სწორ გზად, რომელსაც წარმოადგენს რევოლიუციის ორიენტაციის გზა.

დღეს ეროვნულად განწყობილი ელემენტები, რომელნიც სხვა ნაირ იყურებიან ისევ დაუბრუნდებიან თავის მოვალეობას და შეუდგებიან მუშაობას საქართველოს თავისუფლებისათვის. ყველა კარგად შეიგნებს იმ ძალას, რომელთანაც მას საქმე ექნება და დარწმუნდება მის ხასიათში.

ამასთანავე მაშინ შესაძლებელი გახდება გარკვევა იმ საბედისწერო გზაჯვარედინს, რომელზედაც არის მიმდგარი საქართველოს საკითხი. ორ ტიტანთა ბრძოლის დროს პატარა საქართველო გარკვევით ჩადგა და კიდევ მეტად დაუკავშირდება იმ ძალას, რომელიც მას მიანიჭებს ეროვნული თავისუფლების მაქსიმუმს.

ქართველი ხალხის უმრავლესობა შეიგნებს, რომ მისი ინტერესები ვერ ეგუება კაპიტალის მაგნატთა ინტერესებს, რომ იგი ყოველთვის წააგებს ევროპიელ პოლიტიკოსთა ვაჭრობაში, რომ მას მეტი კავშირი აქვს რუსეთის მუშებთან, რომლის გუშინდელი მთავრობა სულს გვიხუთავდა, როგორც ჩვენ, აგრეთვე თვით რუსის მუშასაც.

ჩვენში, როგორც ყოფილ დამონებულ ერში, მეტი სიფრთხილეა საჭირო ეროვნული პოლიტიკის სფეროში. თუ დაკმაყოფილებული არ იქნა ქართველი მშრომელი ხალხის სამართლიანი მოთხოვნილებანი, იგი დაშორდება რევოლიუციას, ვერ გაიგებს მის დიად მიზნებს.

ს. რ. ამაღლობელი.

ახალი ამბები

— **დღეს თეატრებში.** სახელმწიფო ოპერა—„კარმენი“, რუსთაველის თეატრში რუსული წარმოდგენა, მცირე თეატრი—სომხური წარმოდგენა, სახალხო სახლი—ვ. პეტიპას გასტროლი.

— **მკვლელობა.** 14 აპრილს საღამოს 8 საათზე სასამართლოს ქუჩაზე № 38 თავის ბინის შესავალთან რევოლვერით მოკლულ იქნა არტაშეს შაგერდოვი.

— **ნაპოვნი გვამი.** 17 აპრილს დღის 2 საათზედ სად. ნავთლუღში იპოვეს შიშველი კაცის გვამი, რომელიც გაშინჯვის შემდეგ ჯავშნიან მატარებლის № 17 წითელ არმიელი ვინმე სუხაჩოვი გამოდგა.

— **ტფილისის ბირჟა.** 13 და 14 აპრილს ტფილისის ბირჟაზე უცხო ვალუტის კურსი გამოიხატ. შემდეგში:

	(ათ. მან.)
ოსმალ. ლირა ოქრო	835
ქაღალდის ლირა	180

აპრილის 15—17 ს უქმეების გამო ბირჟა დაკეტილი იყო

ქართულ თეატრში

(მსახიობთა საყურადღებოდ)

ქართული თეატრი, ქართველი მსახიობი!

რამდენ სასიამოვნო ჰარმონიაა ყოველ კულტუროსან ადამიანისათვის ეს სიტყვები!

რატომ, რისთვის?

იმისათვის, რომ ორთავეს ლამაზი, მშვენიერი, წარმტაცი ისტორია, ტრადიცია აქვთ.

ტრადიცია უანგარობისა, თავდადებისა, მაღალი იდეალებისათვის.

ისტორია, ბრწყინვალე ისტორია ხალხის გათვითცნობიერებისათვის სამსახურისა, მასში თვითშეგნების გამოწვევისათვის და ერის უფაქიზეს გრძნობათ მოვლა—პატრონობისა.

აი კონტური ჩვენი თეატრისა და მსახიობის მოღვაწეობისა.

და ამ ისტორიის მსვლელობისას ქართულ დრამატიულ ხელოვნებას დიდი, გრძელი ეკლიანი გზით სვლა ხვდა წილად.

მაგრამ ამ ჟამად ეს გზა უფრო გაეკლიანდა, რადგან თეატრალურ ხელოვნების მთავარ ძარღვის—მსახიობის გაჭირვებამ დღეს კულმინაციურ წერტილამდე მიაღწია.

საილუსტრაციოდ მე ვიცნობ მსახიობს, რომელიც ავადაა უკვე ორი თვე და იმდენად ავადმყოფობისაგან არაა დაავადებული, რამდენადაც სიმშილისაგან. ამ მსახიობისადმი დახმარების აღმოჩენისათვის მისმა კოლეგებმა ტალახი აუმშრალა სახალხო განათლების კომისარიატს, მაგრამ დღემდე მსახიობისათვის არავითარი დახმარება არ აღმოუჩენიათ.

მე ვიცნობ მსახიობს, რომელიც ქალაქ გარეთ სცხოვრობს და, მიუხედავად ცდისა, მას ქალაქში ბინა ვერ უშოვნია. შედეგი ამისა? ნერვების დაფლეთა იმ ზომამდე, რომ ამ ერთი კვირის წინად ცოცხალ—მკვდარი შინ მიიტანეს...

მე ვიცნობ მსახიობს, რომელიც ერთი კვირა შინ იჯდა, რადგან ვერ შესძლო დასაკერებლად მიცემულ ფეხსაცმელის გამოსყიდვა.

მე ვიცნობ მსახიობს, რომელსაც საცვალიც კი არ აქვს.

მე ვიცნობ მსახიობს, რომელიც დახეულ შარვალს ვიზიტკის კუდითა მალავს.

მე ვიცნობ მსახიობთ, რომელნიც ქუჩაზე სდარაჯობენ—იქნებ ნაცნობი შეგვხვდეს და სული მოვიბრუნოთო...

მე ვიცნობ... მაგრამ, მგონია კმარა.

ბევრი ვარამი აწუხებს ქართველ მსახიობს, მდგომარეობა მისი აუწერელია.

მშველელი კი არავინაა!

მართალია, ქართულ დრამის გენერალიტეტი, საბედნიეროდ უზრუნველყოფილია, მაგრამ გენერალი უჯაროდ ვერაფერი სურათია.

საჭიროა საშური ზომების მიღება, რათა ჩვენი არამრავალრიცხოვანი მსახიობნი უზრუნველყოფილნი იქნენ.

მაგრამ ვინ უნდა იზრუნოს ამის შესახებ?

ჩემის აზრით უპირველესად ყოვლისა თვით მსახიობებმა.

ისე უბადრუკი, როგორიც დღეს, მსახიობი არასდროს არა ყოფილა. მისი ხმა სრულებით დადუმებულია, იგი უსიტყვოდ იხრაკვის საკუთარ გაჭირვების ტაფაში. და ეს ხდება იმისათვის, რომ **მოისპო მსახიობთა კავშირი და მით დაიქსაქსა მთლიანი ფიზიონომია მსახიობობისა**. მოისპო ის ბინა, სადაც მსახიობნი ერთმანეთს ხვდებოდნენ და ბჭობდნენ საზოგადო ჭირ-ვარამზე, შეერთებულის ძალით დაეძებდნენ სასურველ გამოსავალს.

დროა მსახიობმა ხმა ამოიღოს თვისსა და ხელოვნების სასარგებლოდ, თორემ...არარაობა საშინელებაა და დღევანდელ პირობებში იგია ხვედრი დრამატიულ ხელოვნებისა.

დროა ამ მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით შეკრბეს **სრულიად საქართველოს მსახიობთა ყრილობა**, ითქვას იქ ხმა მაღლა, ყველას გასაგონად სიმართლე, თუნდაც მწვავე სიმართლე, აღსდგეს ხელოვნულად ჩაკლული ქართველ მსახიობთა კავშირი და გვგონია ხელოვნებისა და ხელოვანთა საქმე გამომჯობინდება.

თეატრის მეგობარი

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 1.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრებად დამტკიცებულ არიან ამხ. **ქოქაშვილი, ეხხენი, ვაშაძე და ავალიშვილი**

საქართველოს ს. ს. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ოკუჯავა.**

მდივანი **ალ. ხალარიძე**

1922 წ. აპრილის 10.

ტფილისი—სასახლე.

სამეგრელოს მუზეუმი

ყოველი ცოტათი მაინც შეგნებული ადამიანისათვის ცხადი და გასაგები უნდა იყოს, თუ რა დიდი სამსახურის გაწევაა ერის კულტურულად განვითარების საქმისადმი, ყოველივე ისტორიულ და წარსული დროის დიდის მატარებელი ნაშთების დაცვა და გადაცემა მომავალი თაობისათვის. ერის წარსული ცხოვრებისა და მისი განვითარების შესახებ ყოველ ისტორიკოსზე უფრო ობიექტიურად მოლაპარაკენი არიან სწორედ ეს ისტორიულ-არქეოლოგიურ მნიშვნელობის სხვა და სხვა საგნები და განძეულობა. ამიტომაც არის, რომ განათლებული დასავლეთი ევროპა განსაკუთრებული სიმპატიით ეკიდება ამ საქმეს და მისი მოწინავე ქვეყნები მოფენილი არის მთელი რიგი სხვა და სხვა მხრივ შესანიშნავი მუზეუმებით. როდესაც ევროპიელი პირველად ეცნობა რომელიმე ქვეყანას, ის უწინარეს ყოვლისა მიიკითხავს მუზეუმს ან გამოფენას, რადგან, მისი შეგნებით, ამ ადგილებში თავმოყრილი, სხვა და სხვა დროის და მნიშვნელობის საგნების საშუალებით შეისწავლება ერის ცხოვრება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით მისი აწმყო და წარსული.

სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკას, არ უნდა წაბაძოს ევროპის კარგს მაგალითს ამ მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ განვლო წელიწადზე მეტმა და სახელმწიფოებრივი ცხოვრება თან და თან ყალიბდება ნორმალურ კალაპოტში, ამ მიმართულებით, მთავრობის მიერ კეთდება სულ ცოტა.

ჩვენი სურვილია ორიოდე სიტყვით გავახსენოთ სახ. გან. კომისარიატს და დაინტერესებულ საზოგადოებას სამეგრელოს ყოფილ მთავრების, დადიანების სასახლის შესახებ, რომელიც მდებარეობს შიგ ქ. ზუგდიდში. ეს სასახლე, როგორც მის ირგვლივ მდებარე სხვა და სხვა კულტურის მცენარეებით მდიდარ ეზო-ბაღით, ისე დიდი მთავრებისაგან სხვა და სხვა დროს დანაშთენი სხვა და სხვა ძვირფასი ნივთებით, ისტორიული საბუთების მდიდარი კოლექციით და ავეჯეულობით, უსათუოდ წარმოადგენს სამუზეუმო საგანს.

ამას დღემდე არ აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და მთელი ეს განძეულობა, რომელიც არის საუკეთესო გამომხატველი მთავრების ოჯახის მთელი იმ განცხრომითი ცხოვრების, რომელიც აგებული იყო გლეხკაცის უბედურებაზე, მისი უზომო ექსპლოატაციაზე, არის ჩაკეტილი ერთ ოთახში და მაზრის მშრომელ გლეხობას არა აქვს საშუალება გაეცნოს ამ ნაშთებს. თუ როდისმე იყო სასურველი და საჭირო ამ მუზეუმის გაღება სხვა და სხვა მოსაზრებით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ის დღევანდელ პოლიტიკური სიტუაციის დროს, როდესაც სახელმწიფო მესაჭეობა აქვს აღებული მშრომელთა კლასს და მას აქვს საშუალება ერთნაირი რევიზია გაუკეთოს როგორც თავის, ისე მოპირდაპირე კლასის წარსულ ცხოვრებას და შეადაროს ის დღევანდელ ცხოვრებას. და ეს მოვლენა გაცილებით მეტს ეტყოდა სამეგრელოს მშრომელ გლეხკაცობას და მეტში დაარწმუნებდა მას. ასე რომ, სამეგრელოს მუზეუმს, სხვა მნიშვნელობასთან ერთად, აქვს უდიდესი საპროპაგანდო მნიშვნელობაც.

ვინც სამეგრელოს იცნობს, ის ამ სასახლესაც იცნობს; ვინც ზუგდიდში ყოფილა, ან ზუგდიდით გაუვლია, მას არ შეეძლო არ შეემჩნია ქალაქის თავიდან დაწყებული, საკმაო სივრცის, ევროპის ყაიდის ლამაზი ბაღი, რომლის შუა-გულში აღმართულია ორი დიდი შენობა: ერთი შედარებით, უფრო ძველი და ძველი გეგმით აშენებული, მეორე—კი, ახალი გოტიური სტილის, ეგრედ-წოდებული „დედოფლიში ოხორე“ (დედოფლის სასახლე). ეს ორი შენობა წარმოადგენს იმ სასახლეს, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ ვამბობდით. 1917 წ. პოლიტიკური გადატრიალებამდე ეს სასახლე თავის ეზო-ბაღით იყო სავსებით დაცული და ხელშეუხებელი, მიუხედავად იმისა, რომ მთავრის ოჯახის უკანასკნელი მემკვიდრე ნიკო ნიკოსძე მუდმივ სცხოვრობდა რუსეთში, პირველი გადატრიალების დროს სასახლის ეზო-ბაღი რამდენადმე დაზიანდა, მაგრამ თვით შენობები და შინამორთულობა იქნა დაცული ხელშეუხებლად. 1919 წ. ცენტრალური მენშევიკური მთავრობის ნებართვით, ძველი სასახლე იქნა დაცლილი სამაზრო ერობის „სადგომ ბინად, შინა-მორთულობა და ავეჯეულობა კი გადაიტანეს „დედოფლიში ოხორეში“ და ერობის თავმჯდომარის მოქ. ლეო შენგელაიას მეცადინეობით დატაცება გახრწნისაგან აცილებული იქნა. მაშინვე იყო მიღებული პრაქტიკული ზომები სასახლის ბაღის აღსადგენად და დასაცავად, რომელიც უსათუოდ დადებითი მოღვაწეობათ უნდა ჩაითვალოს მოქ. შენგელაიას.

1920 წ. საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიურ საზოგადოების მიერ, ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილის მეთაურობით და დამფუძნებელი კრების სათანადო სანქციით, სასახლიდან გადაიტანეს ქ. ტფილისში ცენტრალურ მუზეუმში მოსათავსებლად ყველა ის ძვირფასი განძეულობა (ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები), რომელიც შეადგენდა დიდი მთავრების სალონის და კაბინეტების სიმშვენიერეს და რომელიც ბოლო ჟამს საქართველოს მუზეუმში მოთავსების მაგიერ, საქართველოს სხვა დოვლათთან და მენშევიკურ მთავრობასთან ერთად, ინგლისის გემით წავიდა დასავლეთ ევროპაში. ამ ნაირად დარჩა სასახლეში ყველა ის საგნები, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ რეალურ-მატერიალურ ღირებულებას, მაგრამ თავის ისტორიული მნიშვნელობით არიან მეტად შესანიშნავი. (სურათები, სხვა და სხვა დროის საომარ და სხვა იარაღების კოლექცია, დედოფლის ტუალეტი, სუფრის სერვიზი, ავეჯეულობა და სხვა...).

ამ მდგომარეობაში იყო ეს ქონება ჩვენში კომუნისტური გადატრიალების დროს. მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება, ადგილობრივი სამაზრო რევკომის დაარსებული განყოფილებანი ვერ მოთავსდნენ პირველ სასახლეში და ამიტომ რევკომმა თავის განყოფილებით დაცალა მეორე „დედოფლიში ოხორე“-ც და ის უამრავი ნივთები და ავეჯეულობა, რომელიც ერთ დროს ორივე სასახლეში ვერ ეტეოდა, ერთად და უსისტემოთ მოთავსებულ იქმნა ძველი სასახლის ერთ-ერთ დარბაზში. ამასთან უნდა აღვნიშნო, რომ რევკომის თავმჯდომარის ამხ. აკ. ქავთარაძის სურვილის და მეცადინეობის წინააღმდეგ, ეს ქონება გადატანა-გადმოტანის დროს, ვერ იქნა დაცული: ზოგი დაიკარგა უკვალოდ, ზოგი კი დაეთმო ზოგიერთ დაწესებულებებს, და ცალკე პირებს დროებით სასარგებლოდ, რამაც, სამწუხაროდ, ბოლოს მუდმივი ხასიათი მიიღო. ძვირფასი ხელობის შკაფები, სხვა და სხვა ტიპის მარმარილოს ქვის მაგიდები, სავარძლები და სხვა ავეჯეულობა არის მოთავსებული უმრავლეს კანცელარიებში, სადაც უპატრონობით ფუჭდება და იხრწნება.

მთავრების ძვირფასი სავარძლები და სხ. ნივთები ამშვენებენ ზოგიერთ პარტიულ ამხანაგების ოთახებს, დედოფლის სერვიზი გადაეცა ნაწილობრივ საბჭოთა სასადილოს, რომლის ლიკვიდაციის შემდეგ, იგი მემკვიდრეობით გადაეცა კოოპერატიულ სასადილოს, ხოლო ნაწილობრივ კი, პარტიულ ამხანაგებს და მოსამსახურეებს დროებით სარგებლობისათვის, მაგრამ ვიმეორებთ, ამ „დროებით“-მა მიიღო მუდმივი ხასიათი, ვინაიდან დღევანდელ სიძვირის დროს, სუფრის მოწყობილობის შეძენა მოსამსახურე კაცისათვის თითქმის შეუძლებელია, მუზეუმის ინტერესები კი, მოითხოვს, რომ ყველა ეს საგნები ჩამოერთვას როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს და მოთავსდეს მუზეუმში. საჭიროა ამას მიექცეს სერიოზული ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

შან—შენ.

(დასასრული იქნება)

„ფარული საზოგადოების“ მომქმედნი პირები: ფილად. კიკნაძე

I.

„ფარული საზოგადოების“ გეგმა დასწერა ივანე ხელაშვილმა, ივანე ხელაშვილი თავის დროის კვალით იყო დიდათ განათლებული ქართველი.

პროფესორმა შ. ბერიძემ, მას სამართლიანათ უწოდა XIX საუკუნის შოთა რუსთაველი.

ივანე ხელაშვილმა „ფარულ საზოგადოების“ გეგმის აღმსრულებელი პირებიც მოსძებნა, ჯერით ეს პირები გამოწვრთნა თავის იდეით და მერე მათ გააცნო გეგმა „ფარული საზოგადოებისა“. პირველი ასეთი პირი იყო ფილადელფოს კიკნაძე, მეორე სერაფიონ ლეჩხუმელი, სოლომ. დოდაშვილი და სხვანიც, მაგრამ ჩვენ ყველას ცნობები არ გვაქვს.

ამიტომ აქ უნდა მკითხველს გავაცნოთ ფილადელფოს კიკნაძე, ეს პირი პეტერბურგში სცხოვრობდა, იგი იზრდებოდა და იწვრთნებოდა ივანე ხელაშვილის გავლენის ქვეშ, ამის გარდა ფილადელფოს კიკნაძე იმ დროის სხვა და სხვა სასწავლებლებშიაც დაიარებოდა და პრაქტიკულადაც ემზადებოდა.

ივანე ხელაშვილმა მოსკოვის აკადემიაში სწავლა დაამთავრა 1812 წ. თვისი დროის კვალით იგი დიდათ განათლებული კაცი იყო, იგი ბევრს სწერდა და კითხულობდა ქართულათ, რუსულათ და სხვა ენებზედაც. ფილ. კიკნაძეც ასეთის პირის გავლენის ქვეშ იყო გამოწვრთნილი და გამოზრდილი.

„ფარული საზოგადოების“ გეგმა ივანე ხელაშვილმა დასწერა 1817 წელს. ამ დროს, მას დიდი მეგობრობა ქონდა პეტერბურგში მყოფთ პოლონელ პროფესორებთან. ივანე ხელაშვილი დეკაბრისტებსაც კარგად იცნობდა და მათს გამოსვლასაც მოესწრო 1824 წ.

ამიტომაც იყო, რომ ვინც კი ამ პირის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ყველა იგინი გამოვიდნენ თვალთ ხილული ქართველნი და მასთანვე დიდათ მაძიებელნი სამშობლო საქართველოს არსებობის და თავისუფლების.

ასეთებში პირველი იყო ფილ. კიკნაძე, ამ პირმა დაიკავა პირველი ადგილი, იგი იყო ისეთი მქადაგებელი „ფარული საზოგადოების“ გეგმის, რომელსაც ამაში მას ცალი არავინ ჰყავდა, პირველ ხანებში, ამ გეგმის მხურვალე მქადაგებლად ეს, ფილ. კიკნაძე იყო. 1824 წლიდან ამას მიემატა სერაფიონ ლეჩხუმელი და სოლომონ დოდაშვილი.

ესენი სცხოვრობდნენ რუსეთში და იქ ქადაგებდნენ ქართველ ბატონიშვილებსა და იმ ქართველებში, რომელნიც საქართველოდან რუსეთში იყვნენ რუსის მთავრობისაგან ძალით გადასახლებულნი სამუდამოდ. 1828 წ. ყველა ეს მქადაგებელნი ჩამოვიდნენ საქართველოში, აქ თავიანთ სამშობლოში შეუდგნენ „ფარული საზოგადოების“ გეგმის თანახმად მოქმედებას. აი ესეც ნიმუშები ფილ. კიკნაძის ქადაგებისა. ამ კილოთივე ქადაგობდნენ სერაფიონ ლეჩხუმელი, სოლომონ დოდაშვილი და სხვანი.

შეიძლება ეს ქადაგებანიც ივანე ხელაშვილისაგან არის შედგენილი, ვინ იცის, ხოლო ჩვენ ამისი ცნობები არა გვქონდეს, ამიტომ ჩვენც მის საკუთრების გამო არას ვამბობთ თუ იგი ქადაგებდა ვისი საკუთრება უნდა იყოს, ვინც ამ ქადაგებას ამბობდა, ჩვენც ყველა ეს მქადაგებლის საკუთრებათ მიგვაჩნია.

ამას ჩვენ ასე მიტომ ვფიქრობთ, რადგანაც ფილ. კიკნაძე თავის დროის კვალით იყო უდიდესი ქართველი მამულიშვილი და ქართველი პატრიოტი ისევე, როგორც მისი მასწავლებელი ივანე ხელაშვილი გახლდათ.

ფილ. კიკნაძე რუსეთში ყოფნის დროსვე [illegible] ბრობასაც, იგი სწერდა ქართულ ენაზე პატრიოტულ ლექსებს, რუსეთში მას ბევრი პატრიოტული ლექსები აქვს ნაწერი. სხვათა შორის მისი დაწერილია ლექსი: „**აღსდეგ გმირთ გმირნო, ნუ გძინავთ, მტერთა ისმის ხმანია**“ ეს ლექსი მან დასწერა 1820 წელს. იმავე დროს ლექსი მრავლად მოეფინა რუსეთში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილებში.

მერე ეს ლექსი ფილად. კიკნაძემ გადასცა გოდერძი ფირალოვს და მას დაავალა:

ძმაო გოდერძი, შენა ხარ ქართული წიგნების მბეჭდავი, იქნება ეს ლექსი სადმე დამიბეჭდო. დასაბეჭდს ხარჯს მე გიბოძებთ.

გოდერძი ფირალოვმა ეს ლექსები გამოართვა და შეპირდა დაბეჭდვას. გოდერძი ფირალოვი იყო თფილისელი ქართველი სომეხი, ანუ ქართველი გრიგორიანი, რუსული ენის კარგათ მცოდნე, იგი წინეთ მდივანი იყო მეფე გიორგის. საქართველოს მეფობის მოსპობის დღიდან, ეს გადასახლდა რუსეთში, იქ იყო რუსულ-ქართული ენის მთარგმნელად და ესევე პირი ქართული წიგნების მბეჭდავიც იყო.

მან სთარგმნა ქართულ ენაზე რუსულიდან სხვა და სხვა წიგნები და ყველა ამ თარგმნებს იგივე პირი ქართულ ენაზე ბეჭდავდა კიდეც პეტერბურგსა და მოსკოვს 1806 წლ. მოყოლებული თითქმის 1835 წლამდე.

ამავე გოდერძი ფირალოვმა 1825 წ. პეტროგრადში, დაბეჭდა ცალკე წიგნად ვრცელი ტომი, სახელდობრ—„საზოგადო მდივნობა“ ანუ მიწერ-მოწერის წიგნი თუ რუსეთის მთავრობის მოხელეთათვის როგორ და რა სახით უნდა მიეწერათ ხოლმე თვისი თხოვნები.

ეს წიგნი კარგა სქელი ტომია და ბოლოში რუსულს ენაზედაც არის დაბეჭდილი სხვა და სხვა ფორმის და სახის წერილები დაბეჭდილები. იმ წიგნის დაბეჭდვით ისარგებლა გოდერძი ფირალოვმა და მოახერხა ამ ლექსის „**აღსდეგ გმირთ გმირნო, ნუ გძინავთ**“ დაბეჭდვა. ეს ლექსი ერთ დიდს ფურცელზე არის დაბეჭდილი და ჩართულია შუა წიგნში, ზედ არც ცენზურა აწერია და არც სხვა რამ ცნობანი.

იქ მოხსენებულია მხოლოდ ის, რომ იგი ლექსი ეკუთვნის გოდერძი ფირალოვს, აი ეს მოხსენებაც:

„**გლოვა თუშ-ფშავ- ხევსურთა მეფე ერეკლეს გარდაცვალებაზედ თქმული ნადვორნიკის სოვეტნიკის და კავალერიის გოდერძი ფირალოვის მიერ**“ კიკნაძე ამას არ წაედავა, რადგანაც ამას ამ ლექსის დაბეჭდვა უნდოდა, ოღონდ ეს დაბეჭდილიყო და მას ვისი სახელიც უნდა ქონიყო მიწერილ-მიბეჭდილი.

ამგვარად გოდ. ფირალოვი გამოვიდა პლაგიატორად და ფილ. კიკნაძის ლექსი მიითვისა მან. ჩვენ კი ვიცით და ამას თვით ფირალოვის ცხოვრება და მისი ბიოგრაფიაც გვასწავლის, რომ იგი ასეთ ლექს არა დროს არ დასწერდა, რადგანაც იგი იყო პირველად საქართველოს მოღალატე, მეფე გიორგის ყოველთვის ატყუებდა, მიმხრობილი იყო რუსთაგან, ესეც დიდად სცდილობდა, რომ საქართველო მალე დაკავშირებოდა რუსეთს. ამიტომ ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ ასეთ კაცს ეს ლექსი დაეწერა.

ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ საყოველთაოთ, რომ ლექსი „**აღსდეგ გმირთ გმირნო**“ დაწერილია ფილ. კიკნაძისაგან და არა ფირალოვისაგან. ამ ლექსის შესახებ ჩვენ სხვა ცნობებითაც დავასაბუთებთ, რომ იგი დაწერილია ფილ. კიკნაძისაგან და არა გოდ. ფირალოვისაგან.

ზაქ. ჭიჭინაძე

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 500
საქართვ. კომუნისტურ პარტიის ცენტ. კომიტ. სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.
. დ. ს. ც.